ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №91
2018 წლის 2 ნოემბერი

ქ. ზუგდიდი

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №8 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

„ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის შემოღებისა და მოსაკრებლის გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 23 იანვრის №8 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 30/01/2018, სარეგისტრაციო კოდი: 010260020.35.105.016396) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დანართი №2 ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„დანართი №2

დაწესებულებების, ორგანიზაციების, ინდივიდუალური მეწარმეებისათვის და იურიდიული პირებისათვის დასახლებული ტერიტორიის დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა

№	სამეწარმეო საქმიანობა	ზომის ერთეული	მოსაკრებლის განაკვეთი თვეში (ლარი)	შენიშვნა
1.	მუზეუმები, ბიბლიოთეკები, არქივები.	საერთო ფართის 1 მ^2	0,08	
2.	სახელმწიფო ორგანიზაციები	საერთო ფართის 1მ^2 ან 1მ^3	0,41 25	
3.	ბანკები, საკრედიტო და საფინანსო ორგანიზაციები, ვალუტის გადამცვლელი პუნქტები, ოფისები, სააგენტოები	საერთო ფართის 1 მ^2	0,9	
4.	კინოთეატრები და თეატრები	მაყურებლის ერთი სავარძელი	0,41	
5.	სკოლები, ინტერნატები, ბაგა-ბაღები	ერთი სული	0,1	
6.	უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებები: უნივერსიტეტები, ინსტიტუტები, პროფესიული სასწავლებლები, კოლეჯები	ერთი სული	0,41	
7.	სასტუმროები (კვების ბლოკის გარეშე)	მომსახურების ერთეული –	3	

7.	სასტუმროები (კვების ბლოკის გარეშე)	ერთი საწოლი	3	
8.	საავადმყოფოები	1 მ^3	25	
9.	პოლიკლინიკები, სტომატოლოგიური და სხვა სამედიცინო კაბინეტები, სამედიცინო დიაგნოსტიკური ცენტრები	საერთო ფართის 1მ^2	0,58	
10.	აფთიაქები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,9	
11.	სტადიონები, ღია ტიპის სპორტული მოედნები	საერთო ფართობის 1მ^2	0,05	
12.	დახურული ტიპის სპორტული დარბაზები	დახურული ფართის 1მ^2 ან 1მ^3	0,33 25	
13.	სასურსათო, შერეული საქონლის და სხვა დასახელების მარკეტები (მაღაზიები)	სავაჭრო ფართის 1მ^2 ან 1მ^3	0,9 25	
14.	სამრეწველო საქონლის მაღაზიები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,5	
15.	ოქროს სავაჭრო ბირჟები, ლომბარდები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,41	
16.	აგრარული ბაზრობები, ყვავილების ღია და დახურული მაღაზიები	საერთო ფართის 1მ^2 ან 1მ^3	0,75 25	
17.	სამრეწველო და შერეული საქონლის ბაზრობები	სამუშაო ფართის 1მ^2	0,45	
18.	ავტოსადგომები	1მ^2	0,18	
19.	ბენზინგასამართი სადგურები	1მ^2 ან 1მ^3	0,8 25	
20.	აბანოები, საუნები	1მ^2	0,65	
21.	სადალაქოები, სილამაზის სალონები	1მ^2	0,9	
22.	რესტორნები, კაფე-ბარები, სასადილოები და სწრაფი კვების ობიექტები (შაურმა)	ერთი დასაჯდომი ადგილი ან 1მ^3	2,8 25	
23.	საცხობები და საკონდიტროები	1მ^2	0,75	
24.	ტოტალიზატორები, სისტემურ-ელექტრონული აპარატები და სხვა სათამაშო კლუბები	1მ^2	1	
25.	რკინიგზისა და საავტომობილო სადგურები	1 მ^2 ან 1 მ^3	0,4 25	
26.	ღია ტიპის დასვენების და გასართობი ადგილები, სკვერები, ბაღები	1 მ^2	0,04	
27.	ატრაქციონები, აკვა-პარკები	1 მ^2	0,1	

28.	სამხედრო ნაწილები, პენიტენციალური სისტემა	1მ^3	25	
29.	ავტოტექმომსახურების სადგურები, სახელოსნო, ავტოსამრეცხაო	1მ^2 ან 1მ^3	0,45 25	
30.	საბითუმო და სამაცივრო საწყობები და ბაზები	1მ^2 ან 1მ^3	0,4 25	
31.	საბანკეტო დარბაზები	1მ^3	25	
32.	სადურგლო, მეტალოპლასტმასის, მინის დაჭრისა და სხვა სახელოსნო	სამუშაო ფართის 1 მ^2	0,75	
33.	საწარმოები და საამქროები	1მ^3	25	
34.	სანერგე მეურნეობები, სათბურები	1მ^3	25	

შენიშვნა: ინფრასტრუქტურის ფართზე მოსაკრებელი არ დაირიცხება.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ზუგდიდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარის **ბესიკ ჭეჟია**
მოვალეობის შემსრულებელი